საქართველოს მთავრობის

დადგენილება №237

2026 წლის 29 მაისი

ქ. თბილისი

ცენტრალიზებული შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

მუხლი 1

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2025 წლის 12 ნოემბრის №1056-IVმს-XIმპ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

ა) ამ დადგენილების დანართით განისაზღვროს საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი, რომლის ფარგლებშიც შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა განხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით;

ბ) სსიპ – ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს (შემდგომში – ცენტრალური შემსყიდველი ორგანო) თანხმობის შემთხვევაში განისაზღვროს კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შესყიდვის განხორციელების ვალდებულება იმ საქონლისა და მომსახურების შესყიდვებთან მიმართებით, რომელთა სავარაუდო ღირებულება, ერთი სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში, შეადგენს ან აღემატება 500 000 (ხუთასი ათასი) ლარს.

მუხლი 2

1. ამ დადგენილებით განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების შესასყიდად კონსოლიდირებული ტენდერების განხორციელების კონკრეტული თარიღები, შესყიდვის ობიექტები და სხვა სათანადო საკითხები განისაზღვრება ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს მიერ.

2. ამ დადგენილების დანართით განსაზღვრული CPV კოდების ფარგლებში ცენტრალური შემსყიდველი ორგანო უზრუნველყოფს იმ საქონლისა და მომსახურების სტანდარტიზებას, რომელთა შესყიდვის საჭიროება გააჩნია ერთზე მეტ შემსყიდველ ორგანიზაციას და კონსოლიდირებული ტენდერის წინამოსამზადებელი ეტაპის სათანადოდ წარმართვის მიზნით, შესაბამის ორგანიზაციებს წინასწარ აცნობებს კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადების შესახებ. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მონაცემთა აგრეგირების მიზნითა და ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს მიერ განსაზღვრული წესით, აცნობოს ცენტრალურ შემსყიდველ ორგანოს მისი საჭიროებები.

3. იმ საქონლისა და მომსახურების შესყიდვებთან მიმართებით, რომელთა სავარაუდო ღირებულება ერთი სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში შეადგენს ან აღემატება 500 000 (ხუთასი ათასი) ლარს, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები და მათ კონტროლს დაქვემდებარებული შემსყიდველი ორგანიზაციები ვალდებული არიან, კონკრეტული შესყიდვის საჭიროების დადგომისთანავე, დაუყოვნებლივ, მიმართონ ცენტრალურ შემსყიდველ ორგანოს და აცნობონ თავიანთი საჭიროებები.

4. ეთხოვოთ შემსყიდველ ორგანიზაციებს, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული ამ მუხლის მე-3 პუნქტში, იმავე პუნქტით დადგენილი წესით აცნობონ ცენტრალურ შემსყიდველ ორგანოს თავიანთი საჭიროებები, იმავე პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში.

5. ამ მუხლის მე-3 ან/და მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ცენტრალური შემსყიდველი ორგანო, მონაცემთა აგრეგირების საფუძველზე, გონივრულ ვადაში, ადგენს, აღემატება თუ არა კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შესასყიდი საქონლის ან/და მომსახურების ღირებულება ამ დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ოდენობას და შესაძლებელია თუ არა შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროების დაკმაყოფილება ცენტრალიზებული

შესყიდვის ფარგლებში. ამასთან, კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით შესაბამისი შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობის შემთხვევაში, ცენტრალური შემსყიდველი ორგანო ატარებს კონსოლიდირებულ ტენდერს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ცენტრალიზებული შესყიდვის განხორციელებისათვის შეუსაბამო პირობების არსებობის ან/და კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით შესაბამისი შესყიდვის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ცენტრალური შემსყიდველი ორგანო უფლებამოსილია, გადაავადოს შესყიდვის განხორციელება გონივრული ვადით ან უარი განაცხადოს შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროების დაკმაყოფილებაზე და არ გამოაცხადოს კონსოლიდირებული ტენდერი. ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს მიერ საჭიროების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია სახელმწიფო შესყიდვას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3

1. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებმა და მათ კონტროლს დაქვემდებარებულმა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა ის საქონელი და მომსახურება, რომელიც ექცევა ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებულ ჩამონათვალში ან დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში, შეისყიდონ ცენტრალურ შემსყიდველ ორგანოსთან შეთანხმებით, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. შესყიდვის შეთანხმების პირობები განისაზღვრება ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. ეთხოვოთ შემსყიდველ ორგანიზაციებს, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული ამ მუხლის პირველ პუნქტში, ის საქონელი და მომსახურება, რომელიც ექცევა ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებულ ჩამონათვალში ან დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში, შეისყიდონ ცენტრალურ შემსყიდველ ორგანოსთან შეთანხმებით, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. შესყიდვის შეთანხმების პირობები განისაზღვრება ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. ცენტრალურ შემსყიდველ ორგანოსთან შეთანხმებას არ საჭიროებს შესყიდვა, რომელიც ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტით, აგრეთვე საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული გამარტივებული შესყიდვის საფუძვლით, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც შესყიდვა ხორციელდება უცხო ქვეყანაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელთა, აგრეთვე თავდაცვის ატაშეს, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მიერ.

4. ამ მუხლის შესაბამისად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ შესყიდვა უნდა შეათანხმოს მის განხორციელებამდე, მანამ, სანამ იგი, დადგენილი წესით, გააფორმებს ხელშეკრულებას შესაბამისი კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე.

მუხლი 4

შემსყიდველმა ორგანომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს სათანადო ღონისძიებები ამ დადგენილების აღსრულებისთვის.

მუხლი 5

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს №446 დადგენილება „კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“.

მუხლი 6

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 ივნისიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

დანართი

№	CPV	CPV დასახელება
1	03100000	სოფლის მეურნეობისა და ბაღჩეულის პროდუქტები
2	03200000	ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილეული
3	03400000	მეტყევეობისა და ტყეკაფვის პროდუქტები
4	09100000	საწვავი
5	09200000	ნავთობი, ქვანახშირი და ნავთობპროდუქტები
6	15100000	ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები
7	15200000	მზა და დაკონსერვებული თევზი
8	15300000	ხილი, ბოსტნეული და მონათესავე პროდუქტები
9	15400000	ცხოველური ან მცენარეული ზეთები და ცხიმები
10	15500000	რძის პროდუქტები
11	15600000	დაფქული მარცვლეული პროდუქტები, სახამებელი და სახამებლის პროდუქტები
12	15800000	სხვადასხვა საკვები პროდუქტი
13	15900000	სასმელები, თამბაქო და მონათესავე პროდუქტები
14	18100000	სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები
15	18200000	გარედან ჩასაცმელი ტანსაცმელი
16	18300000	ტანსაცმელი
17	18400000	სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარები
18	18500000	სამკაულები, საათები და მონათესავე ნივთები
19	18800000	ფეხსაცმელი
20	30100000	საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა
21	30200000	კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები
22	31400000	აკუმულატორები, დენის პირველადი წყაროები და პირველადი ელემენტები
23	32300000	ტელე- და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო- ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა
24	32400000	ქსელები
25	33100000	სამედიცინო მოწყობილობები
26	33600000	ფარმაცევტული პროდუქტები

27	34100000	ავტოსატრანსპორტო საშუალებები
28	34300000	ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის
29	37500000	თამაშები და სათამაშოები; ატრაქციონები
30	39100000	ავეჯი
31	39200000	ავეჯის აქსესუარები
32	39300000	სხვადასხვა სახის მოწყობილობები
33	39500000	ქსოვილის ნივთები
34	39700000	საოჯახო ტექნიკა
35	44600000	ავზები, რეზერვუარები და კონტეინერები; ცენტრალური გათბობის რადიატორები და ბოილერები
36	48800000	საინფორმაციო სისტემები და სერვერები
37	50300000	პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიოვიზუალური მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები
38	60100000	საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები
39	64200000	სატელეკომუნიკაციო მომსახურებები
40	66500000	სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები
41	79800000	ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
42	92200000	სატელევიზიო და რადიომომსახურებები